ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირაგოვის სახლში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირაგოვის სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. Გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тиф. лисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისა: [illegible]ებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. Დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ყოველ-დღიური გაზეთი

## „დროება"

ხელის-მოწერა: თფილისში, რედაქციის კანტორაში (სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირაგოვის სახლებში, № 8).

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი. *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты* „Дроэба."

გაზეთის ფასი: მთელის წლის—8 მან., 1/2 წლის—4 მან. და 50 კაპ., ოთხი თვის—3 მან.

### რედაქციისაგან

თუმცა თითქმის მუდამ დღე არის ჩვენს გაზეთში გამოცხადებული, რომ ნახევარის წლის გაზეთის ფასი არის 4 მან. და ათი შაური, მაგრამ ზოგიერთი ხელის-მომწერლები მაინც კიდევ მარტო 4 მანეთს აგზავნიან.

ამის გამო საჭიროთ ვრაცხთ გამოვაცხადოთ რომ იმ ხელის-მომწერლებს, რომელთაც ნახევარი წლის ფასად 4 მანეთი შემოუგზავნიათ, თუ დანარჩენ ათ შაურსაც არ შემოიტანენ, 1 ივნისს მოესპობათ გაზეთის გზავნა.

## ტელეგრამმები

### მორიგების პირობები

ლონდონი, 12 თებერვალს. „რეიტერის სააგენტოს" სწერენ სტამბოლიდამ, რომ უმთავრესი მუხლები მორიგების პირობებისა არის შემდეგი:

ბოლგარია უნდა შეიცავდეს მიწებს, რომელნიც ერთის მხრის მდ. Დუნაისა და Ბალკანის მთებს შუა, მდებარებენ (Დობრუჯის გარდა) და მეორეს მხრით შავ ზღვასა და სერბიას შუა სოფიით და ფილიპოპოლით, მხოლოთ Ადრიანოპოლს გარდა. Წარჩინებული პირების კრება ამოარჩევს ბოლგარიის მთავარს, რომლის დამტკიცება Ოსმალეთისა და Ევროპის უმთავრესი სახელმწიფოების მმართებლობაზედ იქნება დამოკიდებული. Ბოლგარია მუდამ წელს მისცემს Ოსმალეთს იმდენ ხარჯს, რამდენი ნაღდი შემოსავალიც ახლა აქვს Ოსმალეთს ამ ქვეყნიდამ. Ერთი წლის განმავლობაში რუსის კომისია იქნება ბოლგარიაში, რომ ახლად-დადგენილს მმართებლობას ყური უგდოს და ამ დროსვე რუსის ჯარი 50,000 დარჩებიან ბოლგარიაში.

ჩერნოგორიას მიეცემა პოდგორიცა და ანტივარი და ამას გარდა ზოგიერთი მიწები ჩრდილოეთით, დასავლეთით და აღმოსავლეთის მხრით.

რუმინიას ჩამოერთმევა ბესარაბია, რომელსაც მიითვისებს რუსეთი და რომლის მაგიერათაც იმას (რუმინიას) მიეცემა დობრუჯა.

სერბია ბოსნიის მხრით შეიძენს ახალ მიწებს; ამ სახელმწიფოლი იგივე წყობილება დარჩება, როგორიც ახლა არის.

დარდანელის წყალში გასვლა-გამოსვლა აღკრძალული იქნეს ყველა სამხედრო ხომალდებისათვის; სავაჭრო ხომალდებს კი მუდამ, ომიანობის დროსაც კი უფლება ექმნესთ ამ წყალში იარონ.

რუსეთს 1,400 მილიონი მანეთი კონტრიბუცია (ომის ხარჯი) უნდა მისცეს ოსმალეთმა; ამ ხარჯის გადასახდელად ოსმალეთი დაუთმობს: ბათუმს, ყარსს, ბაიაზეთს, არტაანს, ამ ქალაქების გარშემო მაზრებსა და აგრეთვე 6 ჯავშნიან ხომალდს, რომელსაც რუსეთი ამოირჩევს. Ამას გარდა ოსმალეთმა უნდა მისცეს კიდევ რუსეთს 40 მილიონი გირვანქა სტერლინგის (თითქმის 350 მილიონი მანეთის) ობლიგაციები, რომლის სარგებელი რუსეთს ბოლგარიის ხარკისაგან და ეგვიპტესა და ანატოლიის შემოსავლიდამ უნდა ეძლიოს. Კიდევ 10 მილიონი მანეთი უნდა მისცეს ოსმალეთმა რუსეთს რუსების ქვეშევრდომების დასაჯილდოებელად, ოსმალოს ტყვეების შესანახავად და სხვ.

მორიგებას სან-სტეფანოში მოაწერენ ხელს, სადაც რუსები, ხონთქრის ნებადართვით, შევლენ.

## ომის ამბები

### აზიის ბრძოლის ველიდამ

ოზურგეთი, 10 თებერვალს. („დროების" კორრესპონდენცია). Გაჩნდა თუ არა ომი, ოზურგეთში მოვიდა მოსკოვის წითელი ჯვრის საზოგადოების განყოფილება. Ჩამოყვნენ ბევრნი ხნიერი და ახალგაზრდა ქალები—დანი მოწყალებისანი.

რადგანაც ქალების მხრივ შემწეობა და ზრუნვა დაჭრილთა და ავათმყოფთათვის ჯერ ჩვენთვის ახალი ამბავი იყო, ამისთვის ყურადღებას ვაძლევდით მათ მოქმედებას და მეტადრე მათის მეუმფროსეების, უფალს ზეიდლიცს და მის თანაშემწენს ჰერგარდს და სეგალს. Ზეიდლიცი და ყველა სანიტარები იდგენ ოზურგეთში ჩხატარაშვილის სახლში, ჩემის სახლიდგან ხუთ საჟენზედ.

ხსენებული „დები" დიახ ჩინებულად ასრულებდნენ თავის მოვალეობას, ყველანი დიდათ შრომობდენ დაჭრილების შესაწევნელად და ეხლაც ყველანი კმაყოფილნი არიან მათის შრომით, და უფ. ზეიდლიციც და მისი თანაშემწენი, პირველ კვირაში მოსვლიდგან, გვარიანათ მეცადინეობდნენ.

ზეიდლიცი თავის ჰერგარდ-სეგალით გავიდნენ აქედგან და მათ ნაცვლად მოვიდა თ. Ამილახვარი, რომელმაც თავის თანაშემწეთ აღმოირჩია უფალი გ. ჯაყელი. Უფალი Ამილახვარი და მისი თანაშემწე დღე და ღამე მოუსვენელად შრომაში არიან; დაადგინეს ყოველივე კარგი წესი; მისი Იმპერატორებითი Უმაღლესობის Დიდი Კნეინის შემწეობით გააკეთეს ოზურგეთში სკლადი; ამ სკლადში შვიდასი კაცისთვის, რასაც კი საჭიროება მოითხოვს, ყოველივე აქვთ.

როგორც გაჩნდება სროლა, მირბის თავ-გადაკლებულათ უფ. Ამილახვარი, მიჰყავს თავისი [illegible] დაჭრილების გარდმოსაყვანათ ოზურგეთში, მიაქვს თან დაჭრილებისათვის ტანთ და ფეხთსაცმელი, ქვეშაგებ—ზედ-სახურავი,

ჩაი, შაქარი, საჭმელ-სასმელი და გარდმოჰყავს ამ პატივით საავათმყოფო სახლებში—ოზურგეთში. ეხლა მორბის სკლადში და მიაქვს თვითეულის დაჭრილისათვის ყოველივე ის საშუალება, რაც საჭიროა ცხოვრებისათვის. თვითონ მე გამიგონია რამდენიმე გურული დაჭრილებისაგან:—„თუ წითელი ჯვარის საზოგადოება არ ყოფილიყო, დღეს ცოცხალი არ ვიქნებოდით."

მაგრამ ამ საზოგადოებას დაბრკოლებას აძლევენ ექიმები.

ეს ექიმები ცდილობენ რომ მალე ჩააწვინონ დაჭრილნი ფურგუნში, ან ურმებში და წაიყვანონ სენაკს, ქუთაისს, თუ თფილისში. უ. ამილახვარი, როგორც ზევით მოგახსენეთ, ამსებს თავის ოდნოკოლკებს ყოველივე საჭირო მასალებით, დაჯდება თვითონაც ამ ოდნოკოლკაზედ და მირბის ლოშპიტლისაკენ დაჭრილებთან; მაგრამ ექიმებთ ეუბნებიან ამილახვარს: „У насъ все свое есть, къ чему вы безпокоитесъ?!" როგორც შეიტყობს ამილახვარი დაჭრილების გაყვანას მივარდება ექიმებთან, თუ სხვა პირებთან და ყველას ეხვეწება წაიყვანონ წითელი ჯვრის ადნოკოლკები, ეხვეწება ყველას ყოველივე მოსთხოვონ, რაც საჭიროა დაჭრილებთათვის.

მე არ მესმის, თუნდ კიდევაც ჰქონდეთ ყოველივე, განა ხაზინა გაჯავრდება, რომ გარეშე კაცმა მიიღოს თავის თავზედ ხარჯი და შრომა?!

ერთი კვირა არის მას შემდეგ, რაც გამოვიდა ბათუმიდამ ერთი ჩემი ნაცნობი, რუსის ქვეშევრდომი სომეხი, რომელმაც მიამბო შემდეგი ამბავი:

ამას წინეთ ციხის-ძირს მოსულან ინგლისელები და დაუნიშნავთ ადგილი, სადაც უნდა გაკეთებულიყო ტრანშეი, და გაბრუნებულან. ამ დროს იყო აქ მეუმფროსედ ნაცვლად დერვიშ-ფაშისა ხასან-ფაშა მუშირი. როცა დაიწყეს მიწის ღრმათ თხრა, ნახეს მიწის სიღრმეში მიცვალებულის კუბო მარმარილოს ქვიდგან გაკეთებული; ზევით ამ კუბოზედ იყო თავიდგან ბოლომდის რაღაც დაწერილი ქართულის ანბანით ქართულს ენაზედ. ოსმალებმა მოინდომეს ამ კუბოს პირის ახსნა, რომ იქნება რამე ეპოვნათ შიგ თვისდა სასარგებლოდ; მაგრამ კუბოს გახსნა არ შეიძლებოდა, რადგანაც ზედა პირი კირით იყო დაშენებული. ჩემი ნაცნობი სომეხი მიდის დაწერილის წასაკითხავად; ამ დროს მას მოკიდებენ ხელს და აცილებენ ამ კუბოს. სომეხი ეხვეწება მიყიდონ კუბოს ზედა თავი, მაგრამ ოსმალები არ ანებებენ.

შემდეგ მოიტანეს თურმე წერაქვი და მით დაამტვრიეს ზედა პირი კუბოსი და ნახეს შიგ ჩასვენებული ქალი, გულზედ ჯვარის მზგავსად ხელ დაკრებილი, რომლის სხეულის კანი სრულებით შეურყეველი იყო, მხოლოდ ძვლებზედ დამჭკნარი და სუფთად შენახული. მიცვალებულს ჰქონდა ყურებზედ ძრიელ დიდროვანი და ძვირფასი საყურეები და ეგრეთვე მარჯვენა თითზედ წამოცმული ბეჭედი, რომლის მარტო თვალი იქავ გაყიდულა ას ოქროდ.

ი. მ.

10 თებერვალს.

## ომისთვის მზადება

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთს „Times"-ში დაბეჭდილი ტელეგრამმა გვაცნობებს ,რომ ჩატალჯის მახლობლად, შეთხალჯიში, დგას ამ ჟამად ღენერალი სკობელევი, რომელსაც 48,000 კაცი თავის არტილლერიით ჰყავს ხელ-ქვეში და რომელიც იმ წამსვე გაიწევს სტამბოლისაკენ, თუ მორიგება არ მოხდა.

—

ფრანცუზ. გაზეთის „La France"-ის სტამბოლელი კორრესპონდენტი იწერება ამ გაზეთში 3 თებერვალს:

„ერთის მხრით რუსის ჯარები უახლოვდებიან სტამბოლს და მეორეს მხრით ინგლისის ფლოტი შემოვიდა მარმარილოს ზღვაში. აქ ყველა დარწმუნებით ამბობენ, რომ დაიჭერს თუ არა ინგლისის ფლოტი ბოსფორს, იმ წამსვე რუსის ჯარებიც თავის მხრით დაიჭერენ პერას, გალატს, სტამბოლს და აგრეთვე გალიპოლს; ამბობენ, რომ ეს ბრძანება აქვსთ რუსის ჯარებს თავის სამხედრო მთავრობისაგან მიღებული.

„თქვენ ადვილად წარმოიდგენთ იმ ხალხის ძლელვარებასა და შფოთვას, რომელიც უნდა ჰსუფევდეს ამ ჟამად სტამბოლში. ჰალლახზედ მიანდევს ყველაფერი და მომეტებული ნაწილი ხელგულ დაკრებილი დაიარება; ბევრი ხალხი ბრუსსაში წავიდა და ბევრიც ახლა მიდის.

„დიდი საყვედური ისმის ინგლისის პოლიტიკაზედ და იმის მოქმედებაზედ ოსმალეთის შესახებ.. მაგრამ კიდევ იმისაგან მოელიან დახსნას, რადგან ამ-

# ფელტონი

## ახალციხური ფელტონი

სრული გამარჯვება! გათავდა ახალციხის სამოქალაქო კლუბში ხალხის ღელვა! სრული დამოუკიდებლობა „თავისუფალი; პარტიისა უთავისუფლო პარტიისაგან გამარჯვებულები გამოვიდნენ თავისუფალი პარტიისანი; თუმცა კიდევ უბღვერენ ერთი მეორეს, მაგრამ საქმე გათავებულია: ამოირჩიეს თავსმჯდომარეც და ამითი გათავდა ჯერ-ჯერობით ომის ველზედ ბრძოლა...

მაგრამ რა დროს ესენია! მე სხვა დარდები მაწუხებს:

სრული იმედი მქონდა, რომ ახალი წელიწადი, ახალ-ახალი ამბები, ახალი გამარჯვება და ახალი დღესასწაულები ჩვენს ქალებს დაავიწყებდა „დროების" № 203-ში იმ ჩემ გაკვრით მოყვანილს ორიოდე სიტყვას; მაგრამ თქვენ არ მომიკვდეთ, იმათ ვერაფრით იჯერეს გული, თუმც ბევრი ლანძღეს, ბევრსაც სამუდამოთ შემოსწყრენ.

იმ დალოცვილმა უფ. თ. პობეშავიძემ უფრო ხომ აალელვა ისინი: უნდოდათ, გადასხვაფერებით და უარის თქმით თავი გაემართლებინათ; ის დალოცვილი კი, იმათი გამართლების მაგიერ, წამოვიდა და „დროების" № 215-ში თავისი ოხუნჯობით თავის თავის გასამართლებელს სტატიაში უფრო გამოააშკარავა: ისინი ასე ამბობენო, რომ, მართალია იმნაირ სადღეგრძელოებსა ვსომდით, როგორც უფ. „უჩინო" სწერდა თავის ახალ-ციხურ ფელტონშიო, მაგრამ ჩვენ ის გასაკვირველად არ მიგვაჩნიაო, და სხვა. წარბის კეთებაში თვალი გამოსთხარაო,—სწორეთ ასე მოხდა.

იმ გამწყრალ და გაკაპასებულ ბატონებმა ბევრი ხომ მეც შემოძიკურთხეს („აი იმას კი დაჰკარგვია ის ორი თვალის „ჩინი", და მართლადაც „უჩინოთ" უვლიაო!); მაგრამ შენ კი გეყურბანევი სულჩიგან, ბატონო გაზეთჯი-ჯან, არც თქვენ დაგაკლეს ლოცვა-კურთხევა, რომ იმისთანა რამეებსა ჰბეჭდავთ: თქვენ და თქვენთვის ცნობების გარდმომცემნი სულ უსაქმურები ყოფილხართ და, თავიანთი ჭკუით, ეს კიდევაც დაამტკიცეს. და ამაზე გაკაპასებულებმა კიდევაც შეიფიცეს, რომ „დროებას" აღარ აიღებენ ხელში თავის დღეში, რადგან ის ყოველთვის და ყველას ლანძღავს, ბოროტებას აჩენს... ამბობენ: „უცოდველი ამ ქვეყანაზე არავინ ვართო, როგორ შეიძლება კაცი შეცდომისათვის საქვეყნოთ გაილანძღოსო!" თუ დაიჯერებთ, ღმერთმანი, მართალს ამბობენ!...

აბა რა არის ამდენი თქვენგნით ქვეყნის მომდურება? ნეტავი რა გაქვსთ მოგება? თუ მართლა საქმე არ გაქვსთ თქვენ და თქვენთვის ამბების გარდმომცემლებს, ამდენ სხვის ამბებს რომ ჰბეჭდამთ, იმდენს მაინც ვერ მოახერხებთ, რომ თქვენი ამბები სხვებს მიუჭოროთ, და როდესაც მოიცალოთ ჭორიკანაობისაგან დანარჩენი დროც პროფერანცის და ლანცკეტის თამაშს შესწიროთ?!...

აი სიცოცხლე გაქვსთ, ჩვენ ქალებს მაშინ უფრო ასიამოვნებთ, როდესაც თქვენი გაზეთის ერთ გვერდს მოდნების შესახებ რამეების აწერას დაუთმობდეთ, ცოტასაც ყოველ დღე „ნარევის" განყოფილებას, და დანარჩენში, თუ მაინცდა-მაინც არ მოიშლით, ამა-იმის ლანძღვაზე ბეჭდვას, რა გაეწყობა,—იმას თვალსაც არ გადაავლებენ.. თორემ მოჰყოლიხართ სულ ომიანობის შესახებ მაბებს და ამა-იმის ბოროტის გამოაშკარავებას ჰბეჭდამთ! თქვენი გაზეთი ბოროტების სარკეთ და ქართველი ახალგაზდობის სალიტერატურო ორღანოთ გაგიხდიათ!..

იმ მარტიროზა და პარაპეტასავით თუ თქვენს გაზეთს ძარღვებში ფულისაგან შემდგარი სისხლი და სული არ უდგია,

ზობენ, რომ ჩვენი დაღუპვა და დამცირება, ჩვენს გარდა, ყველაზე უფრო ინგლისის დამცირებაც იქნება, და „ამაყი ალბიონი“ ამას არ მოითმენსო.“

—

10-ს თებერვალს, როდესაც ინგლისის ზემო-პალატაში მოლაპარაკება ყოფილა იმაზე, რომ მმართებლობას მიეცეს უფლება სახელმწიფო ხაზინიდამ ომის საჭიროებისათვის ფულების დახარჯვისა (მოგეხსენებათ, რომ ქვემო-პალატამ ეს წინადადება მმართებლობისა დაამტკიცა), ამ დროს ლორდ ბიკონსფილდმა, სხვათა შორის, სთქვა შემდეგი სიტყვა:

„ყველა სახელმწიფოებმა მიიღეს ჯეროვანი ზომები; ყველანი აღვიარებენ, რომ აღმოსავლეთის საქმე მთელს ევროპას შეეხება. ინგლისიც სხვა სახელმწიფოების-და-გვარად მოიქცა ამ შემთხვევაში. იმედი არის, რომ ეს განხეთქილება მალე მშვიდობიანობის ჩამოგდებით ვათავდეს; მაგრამ ჩვენ მაინც ყოველ შემთხვევისათვის მზათ უნდა ვიყვნეთ. თუ მოახერხებს ინგლისი და საპატიო მორიგების პირობებს შეაკვრევინებს რუსეთსა და ოსმალეთს, კარგი; თუ არა და ჩვენი პოლიტიკა იმას თხოულობს, რომ ინგლისის სიტყვას, მოთხოვნილებას პატივი და გავლენა ჰქონდეს.“

—

ინგლისურს გაზეთს „Daily News“-ში იწერებიან სტამბოლიდამ:

„მარტო ერთ ფლოტს ინგლისისას არ შეუძლიან თავისუფალი გზა გაიკვლიოს ბოსფორსა და შავს ზღვაში. რუსებს შეუძლიანთ ბუიუქ-დერეს სიმაღლეები ჩაიგდონ ხელში, ააგონ აქ სიმაგრეები, მიიტანონ თავის და ოსმალის ზარბაზნები და ამნაირად დაამწყვდიონ აქ ეს ფლოტი; მაშინ შავი ზღვა მტრისგან დაცული იქნება!“

## შერიგების თაობაზე

ოფიციალურად ჯერ არ არის გამოცხადებული — თუ რა პირობებით მოხდება რუსეთსა და ოსმალეთს შუა შერიგება; მაგრამ „რეიტერის სააგენტო“ გვაცნობებს იმ პირობებს, რომელიც რუსეთმა და იმის მომხრეებმა უნდა წარუდგინონ ოსმალეთს. ეს პირობები დღევანდელს ტელეგრამმებშია მოყვანილი.

იქიდამ, სხვათა შორის, სჩანს, რომ რუსეთი 1,700 მილიონ მანეთამდინ სთხოვს ოსმალეთს, რომლიდამაც 1,400 მილიონში ოსმალეთმა ბათუმი, ყარსი, ბაიაზეთი, არტაანი და ამ ქალაქების მაზრები და ამას გარდა ექვსი ჯავშნიანი ხომალდი უნდა დაუთმოს; დანარჩენი კი ფულად და ბანკის ბილეთებით უნდა მისცეს.

სხვა პირობებს: ბოლგარიის, სერბიის, ჩერნოგორიის, რუმინიის და აგრეთვე დარდანელის წყალში ხომალდების სიარულის შესახებ, თვითონ ტელეგრამმიდამ შეიტყობთ.

რალა თქმა უნდა, რომ ეს პირობები ოსმალეთისათვის ერთობ მძიმე პირობებია; მაგრამ საქმე იმაშია, რომ დავრდომილ-დამარცხებულ ოსმალეთს არავითარ პირობაზე ახლა უარის თქმა არ შეუძლიან. ყველანი ავსტრო-ვენგრიასა და განსაკუთრებით ინგლისს შესჩერებიან: თუ ისინი დათანახმდნენ ამ პირობებზე, შვიდობიანობა იქნება, თუ არა — ბრძოლა.

—

ბელგიური გაზეთი „Indépen. Belge“ თავის მოწინავე „პოლიტიკურ მიმოხილვაში“ ავსტრო-ვენგრიის შესახებ ამბობს შემდეგს:

„ავსტრიაში და განსაკუთრებით ვენგრიაში, მართალია, ძალიან აღელვებულია სალხი და ზოგიერთი გაზეთები თხოულობენ, რომ ახლავე გამოუცხადონ რუსეთს ომი. მაგრამ მომეტებული ნაწილი გაზეთებისა და აგრეთვე თვითონ ხალხიც იმ აზრისა არიან, რომ ავსტრო-ვენგრია საკმაოთ მომზადებული არ არის ბრძოლისათვის, რომ ოსმალეთისათვის სისხლი დაღვრა არა ღირს და სხვ. თვითონ იმპერატორი ფრანც-იოსიფი და იმის ამალა სრულებით დაკმაყოფილებული იქნებიან, რომ ბოსნიასა და ჰერცოგოვინას ჩამოართმევდნენ ოსმალეთსა და ავსტრო-ვენგრიის იმპერიას შეუერთებდნენ, და ამ ნაირად ეს განხეთქილება მშვიდობიანად გათავდებოდეს.“

—

ამავე გაზეთში მოყვანილია შემდეგი დეპეშა სტამბოლიდამ მიღებული:

„აქ ამბობენ, რომ დ. მ. ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ერთის ნაწილით თავის ჯარით შემოვა სტამბოლში; მაგრამ ისე კი არა, როგორც მტერი, არამედ როგორც ხონთქრისა და ხალხის სტუმარი. და ამის გამო დარწმუნებული არიან, რომ ეს ამ გვარი შესვლა სტამბოლში ინგლისს არ მისცემს მიზეზაა, რომ რუ-

---

მოდი, თქვენც დაეთანხმენით იმ მჭევრმეტყველურ მოსაზრებას, რომ შეუცდომელი ამ ცოდვით და უბედურებით სავსე სოფელში არავინ ვყოფილვართ და ამისათვის ჯერი არ არის, რომ შეცდომისა და ბოროტებისათვის საქვეყნოთ ვინმე გაილანძღოს და იმათი სახის დასანახველათ თქვენი გაზეთი საქვეყნო სარკეთ გახადოთ!

ეცადეთ, რომ თავზე უფრო ჯიბე სავსე გქონდესთ; თუ გინდ ბრმაც იყავით, თუ გინდ კანში აშმორებული სული და ხორცი გქონდეს გახვეული, თუ გინდაც ყოველ ნაირი უხასიათობაც თქვენში იპოებოდეს, — ამ ყველა სიმახინჯეს მშვენიერების და ტროფობის ასანთებ ფარდას გარდააჩურავს იმ შეჩვენებული, და კიდევ შეჩვენებული ფულის ელვარა და მისი ანდამატებრივი მიმზიდველობა...

ლექსსაც კი იმღერიან თურმე ჩვენზე:

„პიცხვა, ძრახვა, გინება — მათგან სხვა რა გამოვა!
„უჩინოსგან“ ავის მეტი, მაშ კარგი რა გამოვა?
„ამნაირი კაცები ხალხშიც კარგა გამოვა...
„მაგრამ მყრალის ჰურჭლისგან წყალიც მყრალი წამოვა!

უნდათ შეიტყონ — ვინ არის ავტორი და ნახევარს შეწვას უპირებენ და ნახევარს მოხარშვას. მაგრამ

მე ჩემს გზას მივალ — მთა-შამბნარებსა!

მაგისთანა ნებიერი ცხოვრების ბატონები და ბაშიბუზუყები, არა თუ მარტო ჩვენში, არამედ სხვაგან უფრო დიდროან განათლებულ ქვეყნებში ბევრი, სულ ბევრი, ათასობით ყოფილან; მაგრამ იმათთვის, არა თუ ჩემისთანა მბლაჯავებს, თვით შესანიშნავ მწერლებს და ორატორებს ვერა უგრძნობინებიათ-რა...

არ გეგონოსთ, ჩემო მკითხველო, რომ ჩემი ვინაობის გამოუცხადებლობა იმათთანა ბაშიბუზუყების მუქარის მორიდებას მიეწერებოდეს. სულაც არა; ჩემი აზრი მხოლოდ ეს არის, „ჩემო გაბლვერილო ტიკებო, რომ თქვენს უცნობლივ თქვენშივე ვტრიალებდე და ისე ვეხებოდე და ვააშკარებდე თქვენს უთვალავს ბოროტ-მოქმედებაებს...

ისინი უფრო საქვეყნოთ საკიცხავნი არიან, ვინც სხვის შრომით სცხოვრებენ ქვეყანაზე და სიმდიდრით აფასებენ კაცის ღირსებას; დაუხურამთ თავებზე დედაბრის ლეჩაქები და ერთი სოროდან მეორეში დაძვრებიან ტურა-მელასავით, ერთი მეორეს ამოსაფხრობათ და ერთათ კი ღარიბი ხალხის ფეხ-ქვეშ გასატანათ და ქვეყნის ჭორების ასავსებლათ!

რად დაღიხართ ეგრე ამაყად? ნუ თუ გგონიათ მართლა, რომ არ უნდა მოვიდეს იმისთანა დრო, რომ ღარიბი და თქვენგან დაჩაგრული ხალხი ამ თქვენის უსამართლო და მძიმე უღელისაგან განთავისუფლდეს?...

შეატყობინეთ, თქვენი ჭირიმე, ბატონო რედაქტორო, იმ ქუთაისელ „მშვილდ-ისრიელს“, რომ ერთი გამოინადიროს ჩვენი ახალციხისაკენაც! თუ კარგი მიზანში ამოღება იცის, აქ კარგი მწევარ-მეძებრებით დაუხვდები და ამ აშფოთებულ გულზე, ერთათ ვინადიროთ, — იქნება ამნაირათ შავი ფიქრები თავიდან და გულიდან გარდამეწმინდოს; დავარწმუნებ ჩემს უცნობს და მომავალ მეგობარს ქუთაისელ „მშვილდ-ისრელს“, რომ ქუთაისზე უფრო აქ მეტ სანადირო უშოვნი, ოღონდაც კი კარგი მიზანში ამოღება იცოდეს; ჩემი მწევარ-მეძებრების წყალობით სულ ასობით გამოვიგდებთ წინ სულ დიდროანს და მსუქანს მხეცებს, მაგალითად: დათვებს, გარეულ ღორებს, მგლებს და მელატურებსა, რომელნიც დიდი ხნის აქეთა ჩვენი გლეხების საქონლით იკვებებიან და, კარგი მონადირეების უყოფნელობის წყალობით, თითქმის მთელი ჩვენი გლეხების სოფლები აიკლეს.

უჩინო

9 თებერვალს.

სეთს ომი გამოუცხადოს, მით უფრო რომ თვითონ იმის სამხედრო ხომალდები სტამბოლის მახლობლად დგანან.“

—

დღევანდელის ფოჩტით მოსულს „მოსკოვის უწყებებში“ დაბეჭდილია ბერლინიდამ 9 თებერვალს მიღებული დეპეშა, რომ ოსმალეთთან მორიგების შესახებ მოსალაპარაკებლად რუსეთის მხრით თ. გორჩაკოვი არის დანიშნული და იმედიაო, რომ თვითონ ეს მორიგება 17 თებერვალს გათავდებაო.

# უცხო ქვეყნები

## იტალია

**ლეონ XIII ახალი პაპი რომისა.**

პიო მეცხრეს მემკვიდრე პაპი ლეონ მეცამეტე 1810 წელს დაიბადა იტალიის პატარა ქალაქს კარპინეტტოში. კარდინალობაში ერქვა სახელად პეჩჩი.

ახალი პაპი, როგორც ამბობენ, ძალიან განათლებული და მეცნიერი კაცი არისო, და, სხვათა შორის, პოეზიაც ძალიან უყვარსო.

მაგრამ ყველაზე უფრო ლეონ XIII თავის მტკიცე ხასიათით, ენერგიით და კეთილ გონიერობით არის თურმე შესანიშნავი.

ყველა უცხო ქვეყნის გაზეთები ერთხმად ამბობენ, რომ ახალ პაპს სრულებით კლერიკალის არა აცხია-რა და იმდენი კეთილ-გონიერება და ჭკუა აქვსო, რომ კათოლიკე სახელმწიფოებსა და ერობას არ დაუწყებს ბრძოლას და არ მოინდომებსო, რომ იმას საერო უფლება დაუბრუნონო.

შეხედულობით ახალი პაპი მაღალი, ჩხირივით გამხმარი კაცია თურმე; წმინდა, მაგრამ ენერგიული და გამომეტყველი სახე აქვს. ამბობენ, რომ ის ჩინებული ორატორიაო, მჭევრმეტყველი; წირვა ისეთი იცისო, რომ ურჯულო კაცსაც სასოება მიეცემაო.

კერძო ცხოვრებაში კი ძალიან ლმობიერი, ტკბილი მოსაუბრე და მშვიდობიანი კაცია.

## თფილისის სამკურნალო

(4-ს აპრილის სახსოვრად)

ერევნის მოედანზე, წინამძღვრიშვილის სახლებში ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 8 საათიდამ დილისვე 10 საათამდინ.

**ორშაბათს**; ექიმი მინკევიჩი—ხირურგიულ ავათმყოფობისათვის, ბარალევიჩი და ლიხიცევი—შინაგანი ავათმყოფობისათვის.

**სამშაბათს**: ვერმიშევი და მაკაროვი—შინაგანი ავათმყოფობისათვის, თამამშევი—თვალის ექიმი.

**ოთხშაბთს**: ლისიცევი—შინაგანი ავათმყოფ., ქიუჩარიანცი—ვენერიული ავათმყოფობისათვის,

**ხუთშაბათს**: ვერმიშევი-შინაგან ავათმყოფობისათვის.

**პარასკევს**: ლისიცევი და ასატუროვი—შინაგანი ავათმყოფობისათვის და —ხირურგიულისთვის.

**შაბათს**: ვერმიშევი და მარკაროვი—შინაგანი ავათმყოფი., ქიუჩარიანცი—ყურის და ხირურგიულ ავათმყოფობისათვის და თამამშევი—თვალის ავათმყოფობის.

## ახალი ტაქსა გირჟის იზვოსჩიკებისა

ქალაქის რჩევამ მიიღო მხედველობაში ქირის და თივის სიძვირე და ამის გამო ამ პირველ ქრისტეშობისთვიდამ დანიშნა შემდეგი **დროებითი** ტაქსა.

| | ფაეტონის | დროშკის |
|---|---|---|
| ერთი გზა . . . . | 40 კაპ. | 25 კაპ. |
| საათი . . . . . . | 80 „ | 55 „ |
| ქალაქიდამ—ნავთლუღს | 80 „ | 50 „ |
| — მუშტაიდამდინ — | 60 „ | 45 „ |
| — მუშტ. და უკან ½ საათი გაჩერება | 1 მან. 20 „ | 90 „ |
| რკ. გზიდამ ნავთ. | 2 „ [illegible] | 1 „ 50 „ |
| —დამოქნამდინ | 1 „ 50 | 1 „ — „ |
| —ქალაქ. ყველგან | 1 „ — | — „ 70 „ |
| რკ. გზამდინ ქალაქ. | — „ 80 | — „ 50 „ |
| — ნავთლუღიდამ | 1 „ 50 | 1 „ — „ |
| რკინის გზამდინ და უკან | — — 1 „ 30 | — „ 90 „ |

**შენიშვნა ა**). ორფუთამდინ ბოგაჟისათვის იზვოსჩიკს არ შეუძლია, რომ რამე გამოართვას ვისმე.

**შენიშვნა ბ**). ნაშუალამევის ტაქსა იგივე დარჩება, რაც ახლა არის ე. ი. ფაიტონის—ერთი გზა—60 კაპ., საათის 1 მან. და 20 კაპ., დროშკის—40 კაპ. და საათის—80 კაპ.

# განცხადებანი

**აბრაშუმის ჭიის თესლი** (კვერცხი) იტალიის მოდგმისა, სალი ისყიდება **კავკასიის სამეურნეო საზოგადოების** სადგომში (ალექსანდროვის ბაღში, უფ. მირსკის პირ-და-პირ).

**ფასი** თითო მისხლისა **ექვსი შაური** ერთს კაცს 10—15 მისხალზე მეტი არ მიეყიდება.

**გამოვიდა და ისყიდება**
**„ცოლი ვიტირო, თუ ფული?“**
კომედია ალვ. თუთაევისა

**ისყიდება**: ქალაქში—ყველა წიგნის მაღაზიებში და ალექს ჯიმშეროვთან, თელავს—იოსებ კუზმანაშვილთან, ქარელს—დავით ქეროჩაშვილთან, ხაშურისა და ბეჟათუბნის ბუფეტში, სურამს—ზაქარია არუწოვთან, ქუთაისს—იაკობ ოჰანეზოვთან და სვ. ცერცვაძესთან ფოთში—ელისბარ ზაბალოვთან, ცხინვალს—თ. ივ. თაქთაქოვთან, საჯაშეთს—თ. ნიკ. დიასამიძესთან, მეჯვრისხევს—მასწ. მოსე ნათაძესთან, გორში—სტ. ზუმოევთან და თვითონ ავტორთან.

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . | 9 | 21 | 5 | 18 | | | | |
| მცხეთა. . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | - | 38 |
| გორი . . . | 11 | 58 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 33 |
| ხაშური . . | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი; . . | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი. . . | 6 | 47 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია. | 7 | 41 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი . | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი. . . | 9 | 40 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . . | 9 | 13 | | | | | | |
| ახ.-სენაკი. | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | 11 | 16 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი . . | 12 | 13 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა. . | 1 | 18 | ღამე | | 3 | 98 | 2 | 21 |
| სურამი. . . | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . . | 7 | 5 | 4 | 8 | [illegible] | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . . | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი . | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნაღს | - | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში . . . . . . . . | 3 | 75 |

### ფოშტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) | 8 |

| ბირჟა | მან. | კაპ |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 13 თებერ. | | |
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში 23 პ ენსი. | — | 78 |
| პარიჟში 271 სანტიმი. | — | 62 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | 7½ | — |
| ბანკის ბილეთი 5% | 96 | [illegible] |
| მოგებიანი (პირველის ხ. | 233 | 50 |
| მოგებიან. (მეორე ხესხი) | 234 | — |
| ბირჟის ფურცლები: | | |
| თფილ. სააზნ. ბანკისა. | — | — |
| ხერსონის ბანკი | 83 | 25 |
| მოსკოვის . . | 83 | 50 |
| ოქრო ½ იმპერიალი. . | 7 | 60 |
| ა ქ ც ი ე ბ ი: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის | 177 | — |
| ფოთი-თფილ. რკინ. გზის | — | — |
| შავი ზღვის ცეც. გემების | 527 | — |
| კავკასის და მერკური, . | 225 | — |
| პიტ. სამზღვევ. საზ. ფ. | 745 | 50 |
| პეტერბ. სამზღვევ. საზ. | 235 | 50 |
| მოსკოვის სამზღვევ. საზ. | 268 | — |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 17 თებერ. | | |
| ფქვ. თეთ. განჯისა, ფთ. | 1 | 80 |
| ფქვილი წითელი . . | 1 | 60 |
| ქერი ფუთი . . . | 1 | 40 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 7 | 60 |
| — ამერიკისა, ფუთი . . | 7 | 70 |
| გაპენტილი ბამბა ფუთი. | 10 | — |
| მატყლი თუშური ფთ. | 8 | 40 |
| —თარაქამისა ფთ. . | 4 | 40 |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 2 | — |
| ქონი, ფუთი. . . | 6 | 5 |
| ქონის სანთელი ფუთი. | 8 | — |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 14 | 40 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 90 |
| —ცხვრისა, ლიტრა . | — | 90 |
| სპირტი, გრადუსი . | — | 15 |
| შაქარი, ბროც. ფუთი . | 7 | 80 |
| — ფხვნილი ფუთი . . | 6 | 80 |
| ყავა გრგვალი, გირვ. . | — | 80 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთ. | 13 | 5 |
| თამბაქო, საშუალო ფუთი | 8 | — |

*Дозволено цензурою Тифлисъ, 17 Февраля 1878 г. Типографія Меликова.* გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი